



## მწვანე ალტერნატივას მუნიშვნები და კომენტარები

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიაბში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის განცხადებაზე

7 ივნისი, 2022

2022 წლის 30 მაისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიაბში ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. შპს „მეგა ჰოლდინგის“ მიერ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, კომპანია სოფელ ნიაბის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემს წლებია გადამამუშავებს. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმომ საქმიანობა დაიწყო 2018 წლამდე, როდესაც წიაღისეულის გადამამუშავება არ ექვემდებარებოდა გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას, კომპანიას საქმიანობის დაწყებამდე არ შეუფასებია გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი.

გამომდინარე იქიდან, რომ სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის, ქვიშა-ხრემის გადამამუშავება არის საქმიანობა, რომელსაც მაღალი უარყოფითი ზემოქმედება აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს ადგილობრივ გარემოსა და მოსახლეობაზე, აუცილებლად მივიჩნევთ, გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობის გაზრდის პროექტი დაექვემდებაროს გზმ-ის პროცედურას. ეს მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საწარმოს ზემოქმედება გარემოზე არც წარსულში ყოფილა შეფასებული და არ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს გადამამუშავებელ საქმიანობას გარემოსა და მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე; არ ვიცით არც ის, არსებობს თუ არა ადგილობრივ მოსახლეობაში საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული უკმაყოფილება.

არსებული საწარმოს წარმადობის გაზრდის პროექტის გზმ-ის პროცედურას დაექვემდებარება იძლევა საშუალებას, ამ ეტაპზე მაინც შეფასდეს მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაში, წლების წინ, საქმიანობის დაწყებამდე უნდა შეფასებულიყო. ეს ასევე შექმნის საქმიანობის შესახებ

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვისა და მათი აზრის მოსმენის/გათვალისწინების შესაძლებლობას.

2. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საწარმო მდებარეობს ინდუსტრიულ ზონაში - კასპის მუნიციპალიტეტში, სადაც წიაღისეულის გადამამუშავებელი არაერთი საწარმო ფუნქციონირებს და მდინარე მტკვრის კალაპოტიდან ქვიშა-ხრეშიც აქტიურად მოიპოვება.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2022 წლის აპრილში აღნიშნულ პროექტზე ადმინისტრაციული წარმოება შეაჩერა და კომპანიას რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები წარუდგინა. ერთ-ერთი შენიშვნა შეეხებოდა კუმულაციურ ზემოქმედებას. კერძოდ, სამინისტროს ცნობით, ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრის რადიუსში მდებარეობს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ისა და შპს „შპს “ევრაზია კაპიტალის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია ტექნოლოგიური დანადგარები. სამინისტროს მოთხოვნით, კომპანიას უნდა წარმოედგინა ინფორმაცია მიმდებარე საწარმოო ობიექტების ფუნქციური დანიშნულების შესახებ და შეეფასებინა კუმულაციური ზემოქმედება.

შენიშვნის პასუხად, განახლებულ სკრინინგის ანგარიშში კომპანია აცხადებს, რომ საწარმოს მიმდებარედ ფუნქციონირებს ორი ობიექტი - 250 მეტრში შპს „ბილდერ კომპანი 2018“-ის ქვის სამსხვრევი და 300 მეტრში „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ის ცემენტის საწარმო. აქვე აღნიშნულია, რომ „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის ცემენტის ქარხანა განხილული საწარმოდან 1400 მეტრში მდებარეობს. სამინისტროს მიერ მოხსენიებულ სხვა ობიექტებთან დაკავშირებით ანგარიშში საუბარი არ არის.

ანგარიშის მიხედვით, კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. კერძოდ, ანგარიშში ნათქვამია, რომ ნედლეულის გადამამუშავება წარმოებს სველი მეთოდით, რის გამოც ქვიშა-ხრეშის მსხვრევისას ატმოსფერულ ჰაერში დიდი რაოდენობით ფრქვევას ადგილი არ ექნება, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

კუმულაციური ზემოქმედების საკითხის მიმართ მსგავსი მიდგომა ცალსახად არასწორია. იმის ხაზგასმა, რომ ნედლეული გადამამუშავდება სველი მეთოდით, არ მეტყველებს იმაზე, რომ ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევას ადგილი საერთოდ არ ექნება. საქართველოში არაერთი სველი მეთოდით მოქმედი საწარმო აბინძურებს გარემოს მტვრით. გაფრქვევების დონე დამოკიდებულია გამოყენებული ტექნოლოგიის ხარისხზე და სხვა ფაქტორებზე.

გარდა ამისა, ამტკერიანება ხდება არამარტო წარმოების პროცესში, არამედ საწარმოო მოედანზეც, სადაც როგორც წესი, დიდი რაოდენობით გადასამუშავებელი თუ უკვე გადამამუშავებული ნედლეულია დასაწყობებული.

კუმულაციური ეფექტის შეფასებისას, მნიშვნელოვანია როგორც ჰაერის დაბინძურების, ისე ხმაურის დონის გათვალისწინებაც. ნედლეულის გადამამუშავება, განსაკუთრებით, სამსხვრევი დანადგარების გამოყენება ძლიერ ხმაურს უკავშირდება. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, უახლოესი საცხოვრებელი საწარმოდან 680 მეტრში მდებარეობს, ქალაქ კასპის უახლოესი საცხოვრებელი სახლები კი, 950 მეტრში. დამორების ეს მანძილი არც ისე დიდია საიმისოდ, რომ მოსახლეობაზე ხმაურის მოსალოდნელი ზემოქმედება არ შევაფასოთ და უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ. მითუმეტეს, მიმდებარე არეალზე სხვა საწარმოებიც ფუნქციონირებს. ამგვარად, აუცილებელია, რომ პროექტის მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება სათანადოდ იქნას შესწავლილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე.

3. რაც შეეხება ხმაურის დონის შეფასებას, სკრინინგის ანგარიშის 8.9 ქვეთავის უდიდესი ნაწილი ეთმობა ძალიან ზოგად, კანონმდებლობიდან უკონტექსტოდ დაკოპირებულ ინფორმაციას ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმებისა თუ ტექნიკური მოთხოვნების შესახებ. ხმაურის დონის გამოსათვლელად წარმოდგენილია ძალიან ზოგადი გაანგარიშება და ბუნდოვანია, რომელი დანადგარების მიერ შექმნილი ხმაური იგულისხმება გამოთვლაში, საიდან არის აღებული მონაცემები და ა.შ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეთავში შეფასებული არაა არც ხმაურის დონის კუმულაციური ზემოქმედება მოსახლეობაზე.

ამასთან, საგულისხმოა, რომ ხმაურის კანონით დადგენილი ნორმის გადაჭარბებისთვის საწარმო უკვე არაერთხელ ყოფილა დაჯარიმებული (შპს „თბილცემენტ გრუპის“ სახელწოდებით ფუნქციონირებისას).

**ყველა ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ სოფელ ნიაბში ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი დაექვემდებაროს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას; სხვაგვარად, შეუძლებელია შეფასდეს ყველა ის ზემოქმედება, რომელიც შესაძლოა უკვე არსებობს და/ან საწარმოს გაზრდილი წარმადობის პირობებში, შეიძლება თავი იჩინოს მომავალში და გავლენა იქონიოს გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე.**